ხელშეკრულება №77
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი, 18 ივლისი, 2018 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ ნაკშიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორსი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმომადგენელი აჭარის სერვის ცენტრის რეგიონალური მენეჯერის ალექსანდრე კალანდაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი CPV-50112200) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3 მომსახურების ობიექტის დასახელებები, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის (დანართი№1) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. მომსახურების მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი ორბელიანის ქ. №7.

3.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის,) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სულხან თამაზაშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სამეურნეო სფეროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების კოორდინატორი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3 %-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქ. №124
საიდენტიფიკაციო კოდი 245444906
ხაზინის ერთიანი ანგარიში:
სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი: TRESGE22,
ა/ნ GE24NB0330100200165022
ჯემალ ნაკაშიძე
სამმართველოს უფროსის მ/შ

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორს"
მისამართი: ქალაქი ბათუმი,
ორბელიანის ქ №2.

საიდენტიფიკაციო კოდი 206276340
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის № GE89BG0000000247624300

ალექსანდრე კალანდაძე
რეგიონალური მენეჯერი

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	ავტოსატრანსპორტო საშუალება	CPV კოდი	მომსახურების ღირებულება
1.	ა/მ გადამბულობის დისკის და ქუროს შეცვლა	Suzuki Jimny RR044PP	50112200	360
	ჯამი			**360**

სამმართველოს უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი

ჯემალ ნაკაშიძე

შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორს"-ის
რეგიონალური მენეჯერი

ალექსანდრე კალანდაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

18 ივლისი, 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორს"-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №77 (18/07/2018წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
/ ჯემალ ნაკაშიძე /

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სამეურნეო
სფეროში შრომითი ხელშეკრულებით
დასაქმებული პირების კოორდინატორი

/ სულხან თამაზაშვილი /